## კოსმონავტის მეუღლის მსოფლიო მიღწევა

11 ივნისს საბჭოთა მფრინავმა ქალმა, კოსმონავტ პავლე პოპოვიჩის მეუღლემ — მარინე პოპოვიჩმა ჩეხოსლოვაკურ რეაქტიულ თვითმფრინავ „ლ-29“-ით სამკუთხოვანი მარშრუტის 100-კილომეტრიან მონაკვეთზე განავითარა საათში 600 კილომეტრი სიჩქარე.

ეს მსოფლიო მიღწევაა მსუბუქი რეაქტიული თვითმფრინავებისთვის, რომელთა წონა 3.000 კგ არ აღემატება.

## ტრამპლინიდან და კოშკურიდან

მ ო ს კ ო ვ ი. დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება წყალში ხტომაში, რომელშიც მონაწილეობდნენ გდრ-ის, გფრ-ის, იტალიის, მექსიკის, ფინეთისა და სსრ კავშირის სპორტსმენები.

ორი დღის საინტერესო ასპარეზობის შემდეგ ტრამპლინიდან ხტომაში ქალთა შორის გაიმარჯვა ხ. ლანცკემ (გდრ), ვაჟთა შორის — საბჭოთა სპორტსმენმა მ. საფონოვმა. კოშკურიდან ხტომაში ქალთა შორის პირველი იყო დ. რეინკარდი (გდრ), ვაჟთა შორის — საბჭოთა სპორტსმენი ვ. პალაგინი.

## ახალ საჭიდაო ასპარეზზე

ზ ნ ა უ რ ი. (ჩვენი კორ.). აქაურმა სპორტსმენებმა მშვენიერი საჩუქარი მიიღეს: გაიხსნა 300-ადგილიანი საჭიდაო ასპარეზი. ახალ ბაზაზე ჩატარდა რაიონის პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. გუნდური გამარჯვება მოიპოვეს სოფელ თიღვის ფალავნებმა.

## „ლაციო“ ითამაშებს ქუთაისში

### იტალიელი ფეხბურთელები ჩამოდიან სსრ კავშირში

ამ დღეებში ჩვენს ქვეყანაში საგასტროლოდ ჩამოვა იტალიის „ლაციოს“ ფეხბურთელთა გუნდი. 19 ივნისს „ლაციო“ ითამაშებს კიევში ადგილობრივ „დინამოსთან“, ხოლო 22 ივნისს — დონეცკის „შახტიორთან“.

25 ივნისს ქუთაისში შედგება საერთაშორისო შეხვედრა ადგილობრივ „ტორპედოსა“ და რომის „ლაციოს“ შორის.



70-გრადუსიან ციცაბოზე...
ფოტოეტიუდი ბ. კამენსკისა.

დღის ნომერში
● დედამიწის თანამგზავრი თიანეთის ცაზე
● ვალერი ბრუმელი: 223 სანტიმეტრი!
● მზარეულები რომ არა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი.

№ 115 (2478) ◉ შაბათი, 13 ივნისი, 1964 წ. ◉ ფასი 2 კაპ.

## ჩემპიონატის ალამი აღიმართა

### გურამ საღარაძე—სარბიელის «რეკორდსმენი»

ბაქო, 12 ივნისი. (ტელეფონით ჩვენი საკ. კორ.). დღეს, სპორტული თამაშების სტადიონზე, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სსრ კავშირის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში მჩატე, ქვემსუბუქი, ქვესაშუალო და ქვემძიმე წონითი კატეგორიების სპორტსმენთათვის. ერთი კვირით ადრე ჩვენი უძლიერესი მოჭიდავეები ძალებს ცდიდნენ ორჯონიკიძეში, სადაც გამოვლინდა უმჩატესი, მსუბუქი, საშუალო და მძიმე წონაში გამარჯვებულთა „ვინაობა“.

როგორია ჩემპიონატის ფორმულა? გადამწყვეტ ეტაპში (ე. ი. ფინალში) საბრძოლველად დაიშვებიან მოჭიდავენი, რომლებმაც ზონალურ ტურნირებში (სულ იყო 5 ასეთი ზონა) საპრიზო ადგილები დაიკავეს. ზემოდასახელებულ სპორტსმენებს დაემატათ ტურნირში პერსონალურად დაშვებული მოჭიდავეები. ასე რომ, ყოველ წონით კატეგორიაში გამარჯვებისთვის დაახლოებით 20-მდე სპორტსმენი იბრძვის.

8 საჯარიმო ქულა ყოველი მონაწილისათვის კრიტიკული ზღვარია და შემდგომი ბრძოლის უფლებას ართმევს. როგორც ხედავთ, ჭიდაობის ფედერაციამ მონაწილეებს ერთგვარად „შეუხსნა ხელ-ფეხი“ (წინათ 6 საჯარიმო ქულა იყო „სასიკვდილო“), რადგან ორი დამარცხების შემთხვევაშიც კი მათ ფინალში გასვლის შანსები რჩებათ.

ტურნირში მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის ყველა წამყვანი მოჭიდავე. ძლიერი შემადგენლობაა თავმოყრილი მჩატე წონაში. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მსოფლიო ჩემპიონი ა. იბრაჰიმოვი (აზერბაიჯანი). მას სერიოზულ კონკურენციას გაუწევენ სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის ჩემპიონი, ორჯონიკიძელი ე. თედეევი, ამავე სპარტაკიადის მესამე პრიზიორი ი. ეკობსონი (ლატვია), აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ექს-ჩემპიონები ზ. მჭედლიშვილი (საქართველო) და ა. გაბსატაროვი (ყაზახეთი).

ქვემსუბუქ წონაში ლიდერად ს. გაჯიევს (რსფსრ) ასახელებენ. ამ წონაში გამოვლენ ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი მ. შახოვი (უკრაინა), აგრეთვე მოსკოველი ვ. ტიმოხინი, აზერბაიჯანელი რ. ისმაილოვი და სხვ.

მსოფლიო ჩემპიონი გ. საღარაძე ქვესაშუალო წონის მოჭიდავეთა სიას უდგას სათავეში. ოქროს მედლისთვის ბრძოლაში მისი მთავარი მეტოქე არის ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი გ. ნებიერიძე (უკრაინა).

შარშან, სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე ჩემპიონის სახელი ქვემძიმე წონაში პირველად მოიპოვა ყაზახეთის გუნდის წევრმა ა. აიხანოვმა! იგი გამარჯვების მთავარ ფავორიტად წელსაც რჩება. საპრიზო ადგილზე გასვლის შანსებს ინარჩუნებენ ვ. პოპოვი (აზერბაიჯანი), ტ. მადალვეე (ესტონეთი), ნ. გოგიბედაშვილი (საქართველო).

● ● ●

ჩემპიონატის პირველ წრეში შეხვედრათა უმრავლესობა დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. მაგალითად, მჩატე წონის ორ მთავარ ფავორიტს — ეკობსონსა და გაბსატაროვს ურთიერთშეხვედრაში დამარცხება ჩაეთვალათ (ორივემ სამ-სამი საჯარიმო ქულა მიიღო). ასეთივე შედეგით დამთავრდა ყვარელაშვილისა (საქართველო) და დ. მუშეღიანის (სომხეთი) ორთაბრძოლა. უკრაინელმა გრუნინმა უმნიშვნელო უპირატესობით (შეფარდება 2:4) მოუგო მჭედლიშვილს. მაყურებლები გაცილებით მეტს მოელოდნენ შახოვისა და იბრაჰიმოვის შერკინებისგან, მაგრამ ბაქოელმა მე-2 წუთზე წმინდა გამარჯვება მოიპოვა. ტიმოხინმა ქულებით დაამარცხა წიკლაური (ორჯონიკიძე), თედეევმა — ლაპშინი (ლენინგრადი).

ქვემსუბუქ წონაში ს. ქარსაულიძემ (საქართველო) მოუგო მოსკოველ ლაგკუევს, ედელამ (ესტონეთი) უმნიშვნელო უპირატესობით — ა. მარტყოფლიშვილს (საქართველო), ისმაილოვმა — სურინოვს (მინსკი), პტიცინმა — შემარულინს (ორივენი — ლენინგრადიდან). წმინდად მოიგეს პირველი შეხვედრები გაჯიევმა და ტუგანოვმა (კიევი), რომლებმაც შესაბამისად დაამარცხეს ბაგაევი (ალმა-ატა) და მაქსიმოვი (მოსკოვი).

მსოფლიო ჩემპიონი ქვესაშუალო წონაში საღარაძე ჯერჯერობით ტურნირის რეკორდსმენია: მან 55 წამში ბეჭებზე დასცა ალმა-ატელი ჯილკაიდაროვი. წმინდად მოიგეს შეხვედრები ნებიერიძემ და აქსიონოვმა (მინსკი). პირველმა ძლია მადაევს (გროზნო), მეორემ — თანაქალაქელ კაცოვიჩს. ასლამაზიშვილმა (საქართველო) ქულებით მოუგო ანდრეევს (ლენინგრადი). დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ცხოვრებოვ (საქართველო) — სიომკინის (აქტიუბინსკი) ორთაბრძოლა. მსაჯთა კოლეგიამ ორივე სპორტსმენს დამარცხება მიუსაჯა.

ქვემძიმე წონაში პირველი წმინდა გამარჯვებები მოიპოვეს აიხანოვმა და გოგიბედაშვილმა. პირველმა დაამარცხა გირენკო (კრასნოდარი), ხოლო მეორემ — ბიჭიაშვილი (საქართველო). ლიივამ (ესტონეთი) ქულებით ძლია არსენ მეკოკიშვილის ვაჟს — გურამს (მოსკოვი), პოპოვმა (აზერბაიჯანი) მოუგო გზირიშვილს (საქართველო), ზადოროჟნიმ (ლენინგრადი) — კლიოსოვს (ციმინიოვი).

მეორე წრეში წარუმატებლად გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები მჩატე წონაში. გოგიჩაიშვილი და ყვარელაშვილი დამარცხდნენ, ხოლო მჭედლიშვილს, ისევე როგორც მის მეტოქეს — მუშეღიანს, წაგება ჩაეთვალა. იბრაჰიმოვმა კვლავ წმინდად მოიგო ბრძოლა (ამჯერად წიკლაურთან). იგი თავის წონაში დამაჯერებლად ლიდერობს.

პირველი დამარცხება განიცადა ქარსაულიძემ ლენინგრადელ იაბლოკოვთან შეხვედრაში. უმნიშვნელო უპირატესობით წააგო შეხვედრა ქვემსუბუქი წონის ფავორიტმა გაჯიევმაც (მინსკელ მაქსიმოვთან). ტატარკინ (კიევი) — მარტყოფლიშვილის ბრძოლაში ორივე მოწინააღმდეგეს წაგება მიესაჯა. ქვემსუბუქ წონაში წინაა აზერბაიჯანელი ისმაილოვი, რომელმაც მეორე წრეში უმნიშვნელო უპირატესობით ძლია შამარულინს.

საღარაძემ 3 მომგებიანი ქულა მოიპოვა სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის მეორე პრიზიორ სიომკინთან (ყაზახეთი) და გაიმარჯვა. მსოფლიო ჩემპიონი ლიდერობს ქვესაშუალო წონაში.

ცხოვრებოვმა წმინდად მოუგო ჯილკაიდაროვს, ასლამაზიშვილმა კი უმნიშვნელო უპირატესობით — შავლოხოვს (უკრაინა).

ქვემძიმე წონაში II წრე ჩვენი მოჭიდავეებისთვის წარუმატებელი იყო: ბიჭიაშვილი დამარცხდა შაგალკინთან (მოსკოვი), გზირიშვილი — ლიივასთან. გოგიბედაშვილ — ზუცევის (ორჯონიკიძე) შეხვედრაში ორივე მოჭიდავეს დამარცხება მიესაჯა.

## მეჩაიეთა მატჩი

ცხაკაიას რაიონის ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივი რაიონში ერთ-ერთი მოწინავეა. აქ სისტემატურად ეწყობა შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ამას წინათ გაიმართა სოფლის პირველობა ჭადრაკში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 12-მა მოჭადრაკემ. დაუმარცხებლად „გაიარა“ ტურნირი ე. მალანიამ.

● ● ●

ამ დღეებში ჩაის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივს ესტუმრა საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი — ცხაკაიას „ცისკარი“. სტუმრები, როგორც ცნობილია, რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის I ქვეჯგუფში თამაშობენ.

„ცისკრისა“ და მეურნეობის ფეხბურთელთა ნაკრების ამხანაგურმა მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია. ლესიჭინელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ცისკრელებს, მაგრამ გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა, თუმცა სტუმრებმა მხოლოდ მინიმალური ანგარიშით შეძლეს მოგება — 2:1.

ე. ბუბუნავა

## საათის!

◆ ამსტერდამი. 12 ივნისს საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის XVIII ტურში ყაიმით დამთავრდა რეშევსკი — სმისლოვის, ევანს — სპასკის, ივკოვ — ტალის, ლენდიელ — პახმანის პარტიები. შტეინმა დაამარცხა ვრანეშიჩი, დარგამ — კვინონესი, გლიგორიჩმა — ბერგერი, ბენკომ — პორატი, პორტიშმა — პერესი.

◆ რ ი გ ა, 12 ივნისს აქ გრძელდებოდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მძლეოსანთა ასპარეზობა ლატვიის დედაქალაქის პრიზზე. წარმატებით გამოვიდა თ. პრესი, რომელმაც ბადრო 57,87 მეტრზე ტყორცნა. ეს წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგია მსოფლიოში.

სიგრძეზე ხტომაში ტ. შჩელკანოვამ აჩვენა 6,56 მ. 10.000 მეტრზე რბენაში ნ. დუტოვმა, ბ. ეფიმოვმა და ფ. ხუზინმა გადააჭარბეს მსოფლიო რეკორდს. დუტოვის დროა 28.54,2. ა. კონოვმა 3.000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში საუკეთესო შედეგი — 8.39,6 — აჩვენა.

◆ კიევი. 12 ივნისს აქ ერთმანეთს შეხვდნენ უკრაინისა და უნგრეთის ხელბურთელთა ნაკრები გუნდები. ქალთა თამაში ფრედ დამთავრდა—8:8, ხოლო ვაჟთა შორის გაიმარჯვეს უნგრელებმა — 21:18.

◆ ბ ე კ ნ ე მ ი (დიდი ბრიტანეთი). საბჭოთა ჩოგბურთელებისთვის წარუმატებელი გამოდგა აქ მიმდინარე ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრების მორიგი შეხვედრები. მას შემდეგ, რაც თ. ლეიუსმა მოუგო (8:6, 6:3) ახალზელანდიელ მაკდონალდს, იგი მეოთხედფინალურ მატჩში შეხვდა ესპანელ სანტანას და დამარცხდა — 7:9, 3:6. ლეიუსის ბედი გაიზიარეს მისმა თანაგუნდელებმა. ს. ლიხაჩოვს მოუგო ნიუკომბმა — 6:1, 6:3. ა. მეტრეველი ძალიან ახლოს იყო გამარჯვებასთან. იგი ეთამაშებოდა ამ ტურნირის გასული წლის გამარჯვებულს — ავსტრალიელ ფლეტჩერს. გადამწყვეტ პარტიაში ანგარიში მიჰყავდა მეტრეველს — 4:2. იგი წინ იყო აგრეთვე მომდევნო გეიმშიც (40:15), მაგრამ საბოლოოდ დამარცხება განიცადა — 4:6. ა. დმიტრიევამ დაამარცხა შვეიცარიის წარმომადგენელი შტუდერი (6:1, 6:2), მაგრამ მეოთხედფინალში მან წააგო ბრაზილიელ ბუენოსთან — 6:4, 0:6, 3:6.

ლეიუს — ლიხაჩოვმა გაიმარჯვეს ინტერნაციონალურ წყვილზე — მაკ-კენზი (ავსტრალია) — კუმარა (ინდოეთი) — 10:8, 8:6. ინგლისელ ჩოგბურთელებთან გამარჯვების შემდეგ მეოთხედფინალში გავიდა მეტრეველი — კოროტკოვის წყვილი.

◆ ბ უ დ ა პ ე შ ტ ი. ესპანეთში გაემგზავრნენ უნგრეთის ნაკრები გუნდის ფეხბურთელები. ევროპის თასის ნახევარფინალურ მატჩში ისინი 17 ივნისს მადრიდში შეხვდებიან მასპინძლებს. უნგრეთის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში შევიდა 18 ფეხბურთელი: მეკარეები — სენტმიხაი, გელეი; მცველები — მატრაი, მესეი, შაროში, ნოვაკი, იხასი; ნახევარმცველები — ნადი, შიპოში, ნოგრადი; თავდამსხმელები — შანდორი, ვარგა, ალბერტი, გიორიჩი, ბენე, ტიხი, კომორა, ფენვეში.

◆ მადრიდი. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად თხოვა იტალიის პროფესიულ კლუბებს — „ინტერნაციონალესა“ და „იუვენტუსს“ — ნება დართონ იქ მოთამაშე ცნობილ ესპანელ ფეხბურთელებს ლ. სუარესსა და ლ. დელ სოლს სამშობლოში დაბრუნდნენ, რათა მოემზადონ 17 ივნისის მატჩისთვის ევროპის თასზე უნგრეთის ნაკრებთან.

## 4:0 ბრაზილია — პერუ

რიო-დე-ჟანეირო. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ბრაზილიისა და პერუს ფეხბურთელთა ოლიმპიური ნაკრები გუნდები. გამარჯვებული გუნდი არგენტინის ნაკრებთან ერთად ღებულობდა ოლიმპიური თამაშების ფინალში მონაწილეობის უფლებას.

ბრაზილიელებმა ანგარიშით 4:0 დაამარცხეს პერუს ნაკრები და გაინაღდეს ტოკიოს საგზური.

# ფანტაზია ცუდი პერსპექტივით

ვაპატიეთ, ჩვენი ფანტაზია ზოგჯერ უხერხულ მდგომარეობაში თუ ჩაგაყენებთ, მაგრამ საქმისთვის ასე ვარჩიეთ. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ თქვენ მარჯვენა გარემარბი ფხაკაძე ხართ. თამაშობთ სოფელ ფარცხანაყანევის გუნდში. თქვენ და თქვენმა თანაგუნდელებმა სეზონი ისე კარგად ჩაატარეთ, რომ წყალტუბოს რაიონის ჩემპიონები გახდით. მაგრამ თქვენ, როგორც ნამდვილ სპორტსმენს, ეს არ გაკმაყოფილებთ. ფეხბურთი დიდია. მას ჰყავს ბრწყინვალე ოსტატები: მესხი, ივანოვი, დი სტეფანო, პელე, რომელთა თამაში გხიბლავთ, რომლებსაც გსურთ მიბაძოთ და დიდი ფეხბურთის სარბიელზე გახვიდეთ...

მაგრამ თქვენს ოცნებას ფრთები შეკვეცილი აქვს. ფარცხანაყანევის სტადიონი, რომელსაც კოლმეურნე სპორტსმენები წლების განმავლობაში ელიან, ჯერ არ დამთავრებულა (გაუჭირდათ ოციოდე ფიცრის, ასიოდე პალოსა და ათასიოდე ლურსმნის შოვნა!). ვთქვათ, სტადიონი წესრიგზეა და სათამაშოდ გამოსვლა მოისურვეთ. უნდა ეძებოთ ფორმა, ბურთი, რადგან ამ საქონლის შეძენაზე აქ თავს არავინ იტკიებს. თუ კეთილმა მეზობელმა ბურთი გათხოვათ და გოლის გატანა შეძელით, შესაძლოა, მსაჯმა ვერც კი შენიშნოს: კარებს ბადეები აკლია...

იქნებ თქვათ, რომ ამ სავალალო საქმეში სპორტსმენთა უსულგულობაც იგრძნობაო. დაგიჯერებთ. მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, ამჯერად აქაური მოჭიდავის როლი იკისროთ! შეხვალთ თუ არა საჭიდაო დარბაზში, მაშინვე ნაგვის ზღვაში აღმოჩნდებით. და თუ ხალიჩამდე გზა გაიკვლიეთ, სარმა არ დაგჭირდებათ: რაღაცის „ელეგანტური" სუნი ორივე ბეჭზე დაგცემთ.

ალბათ, პატივცემულო შოთა, შენიშნავდით, რომ ფარცხანაყანევი ჩვენ საგანგებოდ ავიღეთ. უბრალოდ, იგი მოწინავედ ითვლება მთელს რაიონში. ახლა მივხედოთ მეორე მოწინავე სოფლის — მაღლაკის კოლმეურნეობას.

აქაური ახალგაზრდობა ფრენბურთს სპორტის ყველა სახეობას ამჯობინებს. ტყუილად ხომ არ ამბობენ: ფრენბურთი მაღლაკელთა „ეროვნული თამაშიაო". მაგრამ თქვენი საკუთარი თვალით ნახეთ, რა სავალალო მდგომარეობაშიცაა მათი ცენტრალური მოედანი? თუმცა, რა მოედანზე შეიძლება ლაპარაკი, როცა თქვენს წინ ოღრო-ჩოღრო, ქვიანი კვადრატი იდო.

დასკვნა ერთია: ან გუბისწყლისა და რიონის ნაპირებზე მიწა გამოილია, ანდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ოთარ მაღლაფერიძე სპორტს მეორეხარისხოვან საქმედ თვლის.

გავყევით ჩვენი უსიამო ფანტაზიის მღვრიე ტალღას და თავი მეჩაიედ წარმოიდგინეთ. ვთქვათ, წყალტუბოს ჩაის ფაბრიკის ლაბორანტი ხართ. ეს ისეთი სამუშაოა, რომ თქვენ 7 საათის განმავლობაში იძულებული იქნებით აკეთოთ ერთი და იგივე მოძრაობა, ერთი და იგივე მარშრუტი საამქროებსა და ლაბორატორიას შორის. ერთნაირი მოძრაობები თქვენ, ცხადია, გღლით. იქანცებით, ბოლოს მოთენთილობა გეუფლებათ და მთქნარებას იწყებთ. მაგრამ თქვენ ხომ თანამედროვე ადამიანი ხართ? თქვენი მოთხოვნილებები გაზრდილია. გინდათ იყოთ მუდამ მხიარული, ჯანმრთელი, მოძრავი. ყველაფერი ეს რომ გქონდეთ, თქვენთვის, როგორც მეჩაიესთვის, უკვე იზრუნეს. საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნესთან" ერთად დაამუშავა და პრაქტიკაში დანერგა საგანგებოდ მეჩაიეთათვის გათვალისწინებული ვარჯიშების კომპლექსი. მაგრამ იმის გამო, რომ წყალტუბოს რაიონის სპორტის მესვეურებმა იგი უჯრაში შეინახეს, თქვენ ჯანმრთელობის ამ ერთ-ერთ წყაროს მოკლებული ხართ.

კიდევ ბევრი მსგავსი ფაქტის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ჯერჯერობით თავს შევიკავებთ, სანამ წყალტუბოს რაიონის სპორტკავშირი ამ საკითხებში ნათელს შეიტანს...

გ. კაკაბაძე
(ჩვენი სპეც. კორ.).
წყალტუბოს რაიონი.

**ღია წერილი**

**წყალტუბოს რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარეს ამხ. შ. კინწურაშვილს.**

# XVI ტრადიციული...

## თამაში ერთ კარში



წყალბურთელთა ტურნირში მონაწილეობდა 5 გუნდი. ბრძოლა გამარჯვებისათვის ფაქტიურად მხოლოდ თბილისის პირველ და მეორე კოლექტივებს შორის გაიმართა. მეორე გუნდი შეჯიბრებაში მონაწილეობდა კონკურსგარეშე, რასაც მისთვის ხელი არ შეუშლია მატჩები ჩაეტარებინა ალმაცერობით.

ფინიშთან ორივე გუნდი დაუმარცხებლად მივიდა. ამ კოლექტივების ფინალურ მატჩში პირველმა გუნდმა 1 ბურთის განსხვავებით (4:3) გაიმარჯვა და მოიპოვა სპარტაკიადის ჩემპიონობა.

თბილისელთა სხვა შეხვედრები აფხაზეთის, აჭარისა და ქუთაისის გუნდებთან შეიძლება მოკლედ დავახასიათოთ: თამაში ერთ კარში. სტუმრების წარუმატებლობის ძირითად მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ისინი მოკლებულნი არიან სრულწლიურ ვარჯიშს.

გამარჯვებული გუნდიდან (მწვრთნელი სპორტის ოსტატი ვ. გოიაშვილი) გამოირჩეოდნენ გ. სვანიშვილი, გ. ნოზაძე, ს. დოლგოვი, ზ. მეგრელიშვილი და ორივე მეკარე — გ. მალანია და ს. ნიჟარაძე.

ტურნირში მეორე ადგილი დაისაკუთრა აფხაზეთის გუნდმა, მესამე — აჭარის კოლექტივმა.



ს უ რ ა თ ზ ე: თბილისისა და აჭარის მოსწავლე კალათბურთელთა შეხვედრის მომენტი.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

## დედაქალაქელთა წარმატება



ქუთაისი. (ჩვენი კორ.). აქ დამთავრდა ფეხბურთელთა ტურნირი. მონაწილე 8 კოლექტივი დაყოფილი იყო ორ ქვეჯგუფად, რომლებშიც გაიმარჯვეს ქუთაისისა და თბილისის გუნდებმა. შემდეგ ისინი ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს პირველი და მეორე ადგილებისთვის საბრძოლველად.

მატჩის დასაწყისიდანვე გამოიკვეთა თბილისელთა ტექნიკური და ტაქტიკური უპირატესობა. მათ ორივე ტაიმში თითო ბურთი გაიტანეს და გაიმარჯვეს 2:0 (ორივე ბურთის ავტორია ო. იობიძე).

ფინალისტებმა დამსახურებულად მოიპოვეს გადამწყვეტ მატჩში თამაშის უფლება. ისინი სხვა მეტოქეებზე მთელი თავით მაღლა იდგნენ. ორივე კოლექტივს ჰყავს პერსპექტიული მოთამაშენი. განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან თბილისელები: გ. და მ. ჰელიძეები, გ. კაპანაძე, ო. იობიძე, ბ. ლეკიშვილი, ქუთაისელები: ძმები გ. და ლ. ნოდიები, ს. სინაურიძე, რ. ჰოლაძე.

მესამე ადგილისთვის იბრძოდნენ ბათუმისა და სამხრეთ ოსეთის მოსწავლეები. ბათუმელები იოლ გამარჯვებას ვარაუდობდნენ, მაგრამ მოხდა პირიქით: ისინი დამარცხდნენ — 1:4.

ტურნირს მოუმზადებლად შეხვდნენ აფხაზეთის, გორისა და ლანჩხუთის გუნდები. მათ ბოლო ადგილები დაიკავეს.

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: ფეხბურთელთა ტურნირში გამარჯვებული თბილისის ჭაბუკთა გუნდი.
ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

**ლახტის წრეში**

# მსაჯი აქეზებს ხულიგნებს

*„ლელოში" ამას წინათ გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო ტყიბულის სტადიონზე მომხდარ უმსგავსოებებზე. ჭკუის სასწავლებლად კაცი, თითქოს, უკეთეს გაკვეთილს ვერც კი წარმოიდგენდა, მაგრამ...*

*ასეთივე სამარცხვინო ამბავი მოხდა 11 ივნისს და ისიც სად, — ქუთაისში, ცენტრალურ სტადიონზე! აქ მიმდინარეობდა მოსწავლეთა სპარტაკიადის კალენდარული მატჩი თბილისისა და ქუთაისის ფეხბურთელთა შორის. იგი სავსებით კვალიფიციურად, კარგად ჩაატარა თბილისელმა მსაჯმა უ. ფურცელაძემ. მაგრამ არიან მაყურებლები, რომლებსაც არ აინტერესებთ არბიტრის მსაჯობის ხარისხი. მათ სურთ მხოლოდ თავიანთი გუნდის გამარჯვება და ვინაიდან ამ მატჩში ქუთაისელები დამარცხდნენ, სტადიონზე დამსწრე გულშემატკივართა ერთმა, საკმაოდ მოზრდილმა, ჯგუფმა ქვებისა და ხის შტოების სროლა აუტეხა მსაჯს.*

*უ. ფურცელაძის დასაცავად გამოეშურა სტადიონის დირექტორის მოადგილე კ. ხურციძე, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რათა წესრიგი დაემყარებინა ტრიბუნებზე და მინდორზე, დააკავა კიდეც რამდენიმე ხულიგანი, მაგრამ მას მხარი არავინ დაუჭირა. თანაც, სტადიონზე არ იყვნენ არც მილიციის მუშაკები და არც რაზმელები.*

*ხურციძისთვის მხარის დაჭერა შეეძლო ქუთაისელთა გუნდის ერთ-ერთ მწვრთნელს დ. ჩირაძეს, მაგრამ ეს უკანასკნელი, პირიქით, აქეზებდა თავგასულ მაყურებლებს — გაამშვებინა, პირდაპირ ხელიდან გამოგლიჯა კ. ხურციძეს დაკავებული ხულიგნები და თავისი „გმირული" საქციელი დაასრულა იმით, რომ უხამსი სიტყვებით მოიხსენია უ. ფურცელაძე.*

*იცით ვინ არის დ. ჩირაძე? იგი რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯია. სირცხვილი მას! ნუთუ ამ ადამიანში არ იყო დარჩენილი კოლეგიალობის გრძნობის ნატამალიც კი?!*

*საინტერესოა, რას მიუზღავს მსაჯთა რესპუბლიკური კოლეგია დავით ჩირაძეს ამ შეუწყნარებელი საქციელის გამო?*

ხ. უუფუნია,
ინჟინერი.
ზ. მაჩიტიძე,
აგრონომი.

რედაქციისაგან: აღმაშფოთებელი ამბავი მოხდა ქუთაისის სტადიონზე! როგორც ცნობილი გახდა, დ. ჩირაძე არის ქუთაისის მე-10 საშუალო სკოლის ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებელი და ქალაქის ბავშვთა სპორტსკოლის ფეხბურთელთა მწვრთნელი. საკითხავია, რა უნდა ასწავლოს მან ბავშვებს?! ამ კითხვას შესაბამისი ინსტანციებიც უნდა დაუფიქრდნენ!

# სტუმრებს ელიან

*ზუგდიდის ტურისტულმა ბაზამ დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწია მიმდინარე წლის სეზონის დაწყების წინ: შეკეთდა ბაზის ყველა შენობა, წესრიგზეა მოყვანილი სპორტული მოედანი, შეძენილია საჭირო რაოდენობის საწოლები, თეთრეული და სხვა დგამ-ავეჯი.*

*ტურისტული სეზონის გახსნის დღეს — 25 ივნისს, ბაზა მიიღებს ტურისტთა პირველ ჯგუფს. აქ ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან ჩამოვლენ ტურისტული მოგზაურობის მოყვარულნი. და განა მარტო ჩვენი სამშობლოს კუთხეებიდან! წელს ბაზა მიიღებს სტუმრებს საზღვარგარეთიდან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან.*

*წლევანდელ სეზონში ზუგდიდის ტურისტული ბაზა მოგზაურობის 8.000 მოყვარულს მიიღებს.*

ბ. ალშიბაია
(ჩვენი კორ.).
ზუგდიდი.

# მთებსა და ბილიკებზე

*ეს ლაშქრობა არასდროს დაავიწყდება ინსტრუქტორთა იმ ჯგუფს, რომელმაც სემინარის შემდეგ თუშ-ფშავ-ხევსურეთის მთებში გადაწყვიტა მოგზაურობა. სულ 23 ვიყავით, მათ შორის სვანი მთასვლელები, კუნთმაგარი ქუთაისელი ტურისტები, მამაცი ყაზბეგელები, თბილისელი და ბორჯომელი ახალგაზრდები.*

*დილაადრიან გავედით თბილისიდან. წინ ახალგაზრდა მთასვლელები ა. აბრამიშვილი და ი. მარტიაშვილი მიგვიძღოდნენ. ჟინვალიდან მარჯვნივ გადავუხვიეთ და ფშავის არაგვის ხეობას ავყევით. საღამო ხანს ფშაველში ვიყავით. კარვები ჩარგალში გავშალეთ. ღამე ამინდი შეიცვალა. მოხუცი სვანი მთასვლელები ა. კვიციანი და ლ. აფრასიძე ახალგაზრდებს სასარგებლო რჩევა-დარიგებას აძლევენ.*

*ზღვის დონიდან 2.000 მეტრის სიმაღლეს მივაღწიეთ, როცა ცივი ნიავი ქარიშხალმა შეცვალა. სვლა გაჭირდა. ინსტრუქტორმა ტვირთი გადაგვინაწილა და დაღლილებს ზურგჩანთები შეგვიმსუბუქა. ბურუსმა მოიცვა გარემო. ჩამობნელდა. სწორედ აქ მოხდა უცნაური რამ: როცა გვეგონა უღელტეხილი გადალახულიაო, რატომღაც უფრო მაღლა, გვერდით მდებარე სამუების წვერზე მოვხვდით. გზა აგვებნა. ყოველი ღონე ვიხმარეთ, სწორ გზას რომ დავდგომოდით. ბოლოს მივხვდით, რომ მდინარის დინებას უნდა გავყოლოდით. რამდენჯერმე მოგვიხდა მდინარის გადალახვა, რომელიც ხშირი წვიმების გამო ადიდებული იყო და ხმაურით იკლებდა არემარეს. ერთ-ერთი ამხანაგი ცუდად შეიქნა. ქუთაისელებმა ს. კიშიბაძემ და ვ. ჩხეიძემ ავადმყოფის ზურგჩანთა დანიშნულ ადგილამდე ატარეს. მიუხედავად ცუდი ამინდისა, ლაშარის ჯვართან შევჩერდით და შემდეგ ღამის გასათევად სოფელ არტანამდე მივაღწიეთ. ბოლოს გამოირკვა, რომ შეცდომა კი არა, ჯგუფის ხელმძღვანელებს განგებ მოეწყოთ სამუების წვერზე გადმოსვლა, რადგან ჩვენი ლაშქრობა სასწავლო-საწვრთნელი იყო.*

*ღამით საქისტოს მთაზე დაეთოვა. დილით კი კარგი ამინდი დადგა და სვლა უფრო გაადვილდა. თიანეთში გულთბილი შეხვედრა მოგვიწყეს. ბორჯომელმა ჯ. გოგოლაძემ მაღლა, ცაზე შუქით გასხივოსნებული საგანი შეამჩნია — თიანეთს ღამით დედამიწის თანამგზავრმა გადაუარა.*

*რვა დღეს გაგრძელდა საინტერესო ტურისტული ლაშქრობა და ბუნების სილამაზით აღტაცებულ ტურისტებთან ერთად, მონაწილენი გაეცნენ ისტორიულ ძეგლებსა და ტაძრებს ახმეტის რაიონში. შემდეგ ვნახეთ ალავერდისა და შუამთის ეკლესიები, იყალთოს აკადემია. ბევრმა ჩვენგანმა ამ მარშრუტით პირველად იმოგზაურა თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და კახეთის მიდამოებში.*

*ტურისტული ლაშქრობის მონაწილეთ მიენიჭათ სათანადო თანრიგები და ინსტრუქტორობის წოდება. ისინი ივნისში თითონ გაუძღვებიან ჯგუფებს მთებსა და ბილიკებზე.*

ნ. მიქაშავიძე

# გათამაშება გადამწყვეტ ფაზაში შედის



**22** წარწერა აქვს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე საპატიო სპორტულ პრიზს — სსრ კავშირის თასს ფეხბურთში. თასისთვის ბრძოლა მუდამ საინტერესო და დაძაბულ ხასიათს ატარებს. ამას განაპირობებს გათამაშების მკაცრი კანონი — დამარცხებული გუნდი ეთიშება ასპარეზობას.

დაწყებული 1936 წლიდან, თასის „დასაპყრობად" მრავალ გუნდს უბრძოლია, გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლებისათვის. მაგრამ მხოლოდ 8 გუნდმა — მოსკოვის „ლოკომოტივმა", „დინამომ", ცსკა-მ, „ტორპედომ", „სპარტაკმა", ლენინგრადის „ზენიტმა", კიევის „დინამომ" და დონეცკის „შახტიორმა" შეძლეს მისი მოპოვება. ყველაზე მეტჯერ წარმატებას მოსკოვის „სპარტაკმა" მიაღწია. სპარტაკელთა კაპიტნები რვაჯერ გაუძღვნენ თავიანთ გუნდს „საპატიო წრის" შემოსავლელად.

თასის ახლანდელი გათამაშება გადამწყვეტ ფაზაში შედის. საინტერესოა, რომ წელს გათამაშება ითვალისწინებს შანსების ერთგვარ „გათანასწორებას": საქმე ისაა, რომ პირველ მატჩებს „ა" კლასის გუნდები „ბ" კლასის კოლექტივებთან ატარებენ მეორე ლიგის გუნდების მინდვრებზე.

...გაივლის ოთხიოდე თვე და საბჭოთა ფეხბურთის თასის ახალი, 23-ე წარწერა შეემატება.

• • •

...განვლილია შეჯიბრების მეთექვსმეტედფინალური ეტაპი, ხოლო რამდენიმე გუნდმა უკვე ჩაატარა მერვედფინალის მატჩებიც.

ეს შეხვედრები გაიმართა 11 ივნისს. **იაროსლავლში** ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „შინიკი" და ლენინგრადის „ზენიტი". მასპინძლებმა ძლიერად ჩაატარეს მატჩი და დაამარცხეს მოწინააღმდეგე — 1:0.

ძალზე დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" და დონეცკის „შახტიორის" მატჩი. კუიბიშეველებმა სსრ კავშირის ჩემპიონატის ლიდერი დაამარცხეს მისივე მინდორზე, **დონეცკში** — 2:1. ამრიგად, „შინიკი" და „კრილია სოვეტოვი" გავიდნენ თასის მეოთხედფინალში.

გადაწყდა მერვედფინალში თბილისის დინამოელთა მეტოქის საკითხიც. **მოსკოვში**, ადგილობრივი გუნდების — „დინამოსა" და „ლოკომოტივის" პირველი მატჩი, როგორც ცნობილია, დამთავრდა ფრედ (1:1). განმეორებითი შეხვედრა დინამოელებმა მოიგეს ანგარიშით 2:1.

**მერვედფინალური მატჩი თბილისისა და მოსკოვის „დინამოს" თანაკლუბელთა შორის შედგება 16 ივნისს.**

| 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2 | ფინალი |
|---|---|---|---|---|
| „ყუბანი" | | | | |
| „სპარტაკი" მ. | „სპარტაკი" მ. 4:1 | | | |
| „ტრუდი" | | | | |
| „კაირატი" | „კაირატი" 3:0 | | | |
| „ჟალგირისი" | | | | |
| „ტორპედო" მ. | „ჟალგირისი" 1:0 | | | |
| „ლოკომოტივი" ჩ. | | | | |
| „მოლდოვა" | „ლოკომოტივი" ჩ. 3:2 | | | |
| „ენერგეტიკი" | | | | |
| „ნეფტიანიკი" ბ. | | | | |
| „ნეფტიანიკი" | | | | |
| „დინამო" | „დინამო" კ. 1:0 | | | |
| „ჩერნომორეცი" | | | | |
| „ზენიტი" | „ზენიტი" 1:0 | | | |
| „კარპატი" | | | | |
| „შინიკი" | „შინიკი" 1:0 | „შინიკი" 1:0 | | |
| სკა ო. | | | | |
| „ვოლგა" | სკა ო. 3:1 | | | |
| „როსტსელმაში" | | | | |
| სკა რ. | სკა რ. 0:0, 2:1 | | | |
| „ზარია" | | | | |
| „კრ. სოვეტოვი" | „კრ. სოვეტოვი" 2:1 | | | |
| „თერგი" | | | | |
| „შახტიორი" დ. | „შახტიორი" დ. 2:1 | „კრ. სოვეტოვი" 2:1 | | |
| „ლოკომოტივი" მ. | | | | |
| „დინამო" მ. | „დინამო" მ. 1:1, 2:1 | | | |
| „ლოკომოტივი" ხრ. | | | | |
| „დინამო" თბ. | „დინამო" თბ. 1:0 | | | |
| სკა | | | | |
| „ტორპედო" ქ. | სკა 1:0 | | | |
| „დინამო" ლნ. | | | | |
| ცსკა | ცსკა 2:1 | | | |

## „შრომითი რეზერვების" მე-17...

გუშინ თბილისის „შრომითი რეზერვების" სტადიონზე საზეიმო ვითარებაში აღიმართა საქართველოს პროფ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა ტრადიციული XVII სპარტაკიადის ალამი. საზეიმო მარშის ჰანგებზე მოედანზე გამოდიან თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, ტყვარჩელის, სურამის, სამტრედიის სპორტსმენთა კოლონები.

მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს და სწავლასა და სპორტში წარმატებები უსურვეს საქართველოს მინისტრთა საბჭოს პროფესიული ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. კ. მიქიაშვილმა და ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ამხ. პ. ალექსეევმა.

საზეიმო აღლუმის შემდეგ დაიწყო შეჯიბრებები სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის 13 სახეობაში (აკრობატიკა, კალათბურთი, კრივი, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა, ველოსპორტი, ფრენბურთი, საბაიდარო ნიჩბოსნობა, მძლეოსნობა, ცურვა, მაგიდის ჩოგბურთი, ფეხბურთი, სპორტული ტანვარჯიში).

სპარტაკიადა გაგრძელდება 16 ივნისამდე.

## ბარსელონაში ჩასვლის წინ 1:1

**პარიზი.** ევროპის თასის ნახევარფინალური მატჩის წინ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, როგორც ცნობილია, საწვრთნელ შეხვედრებს ატარებს საფრანგეთში. პირველი ასეთი მატჩი აქ გაიმართა ადგილობრივი „სტად ფრანსეს" წინააღმდეგ.

პირველი ტაიმი დამთავრდა „სტად ფრანსეს" სასარგებლოდ —1:0. ეს ანგარიში უცვლელი იყო 87-ე წუთამდე, როცა ჰუსაინოვმა შეძლო საპასუხო ბურთის გატანა.

საბჭოთა ნაკრებმა მატჩი „სტად ფრანსესთან" ჩაატარა შემდეგი შემადგენლობით: იაშინი — მუდრიკი, შუსტიკოვი, კორნეევი (ანიჩკინი), გლოტოვი —ვორონინი, მალაფეევი (მიკუნოვი) — ჩისლენკო, გუსაროვი (ივანოვი), პონედელნიკი, კოპაევი (ჰუსაინოვი).

## საერთაშორისო ტურნირი მოსკოვში

15 ივნისს მოსკოვში დაიწყება საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში, რომელსაც „სამთა ტურნირი" ეწოდა. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის პრიზზე ითამაშებენ იუგოსლავიის „ჰაიდუკი", სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდი და სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები.

პირველი მატჩი შედგება საბჭოთა გუნდებს შორის. 18 ივნისს „ჰაიდუკი" შეხვდება ოლიმპიელებს, ხოლო ერთი დღის შემდეგ — ახალგაზრდულ ნაკრებს. გარდა ამისა, „ჰაიდუკი" 24 ივნისს გაემგზავრება დონის როსტოვში ადგილობრივ არმიელებთან სათამაშოდ.

## გდრ — სსრკ
### 28 ივნისს, პოლონეთში

როგორც ცნობილია, სსრ კავშირისა და გდრ-ის ოლიმპიური ნაკრები გუნდების ორმა მატჩმა ვერ გამოავლინა გამარჯვებული. ორივე მატჩი ლაიფციგსა და მოსკოვში დამთავრდა ერთნაირი ანგარიშით — 1:1.

საჭირო გახდა მესამე, გადამწყვეტი შეხვედრის ჩატარება. ამ ორი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციებმა მოილაპარაკეს მესამე მატჩი შედგეს 28 ივნისს პოლონეთის ერთ-ერთ დიდ სტადიონზე.

შეიძლება ეს მესამე შეხვედრაც ფრედ დამთავრდეს. ამ შემთხვევაში ტოკიოს ფინალის მონაწილის საკითხს სსრ კავშირისა და გდრ-ის გუნდებს შორის გადაწყვეტს კენჭისყრა.

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 13 ივნისისათვის

### I ქვეჯგუფი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ენგურჰესი" ზუგდიდი | 11 | 7 | 4 | 0 | 19—6 | 18 |
| „გურია" ლანჩხუთი | 11 | 6 | 4 | 1 | 18—6 | 16 |
| „ცისკარი" ცხაკაია | 11 | 5 | 6 | 0 | 10—4 | 16 |
| „დილა" გორი | 11 | 6 | 3 | 2 | 15—8 | 15 |
| „მეშახტე" ტყიბული | 11 | 6 | 3 | 2 | 9—7 | 15 |
| სას. სამ. ინსტ. თბილისი | 11 | 4 | 6 | 1 | 20—12 | 14 |
| ფიზ. ინსტ. თბილისი | 11 | 5 | 3 | 3 | 12—9 | 13 |
| „მესხეთი" ახალციხე | 11 | 6 | 1 | 4 | 15—13 | 13 |
| „მერცხალი" მახარაძე | 11 | 3 | 4 | 4 | 10—10 | 10 |
| „შუქურა" ქობულეთი | 11 | 3 | 4 | 4 | 10—10 | 10 |
| „დინამო" ქუთაისი | 11 | 3 | 4 | 4 | 11—14 | 10 |
| „შახტიორი" ტყვარჩელი | 11 | 3 | 3 | 5 | 9—12 | 9 |
| „მეტალურგი" ზესტაფონი | 11 | 2 | 4 | 5 | 5—10 | 8 |
| „ლოკომოტივი" სამტრედია | 11 | 3 | 2 | 6 | 12—18 | 8 |
| „განთიადი" ბორჯომი | 11 | 2 | 3 | 6 | 6—13 | 7 |
| „სინათლე" თბილისი | 11 | 1 | 5 | 5 | 8—16 | 7 |
| „მაღაროელი" ჭიათურა | 11 | 0 | 5 | 6 | 5—17 | 5 |
| „განთიადი" ბათუმი | 11 | 0 | 4 | 7 | 5—13 | 4 |

### II ქვეჯგუფი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სამეგრელო" ზუგდიდი | 10 | 8 | 2 | 0 | 16—1 | 18 |
| „მეტალურგი" რუსთავი | 10 | 5 | 4 | 1 | 14—9 | 14 |
| „შახტმშენი" მარნეული | 10 | 5 | 4 | 1 | 12—8 | 14 |
| „წინსვლა" წულუკიძე | 9 | 4 | 4 | 1 | 12—6 | 12 |
| „გახმარო" ჩოხატაური | 10 | 4 | 3 | 3 | 13—10 | 11 |
| „მექანიზატორი" ფოთი | 10 | 4 | 3 | 3 | 12—10 | 11 |
| „სპარტაკი" ცხინვალი | 8 | 3 | 4 | 1 | 8—6 | 10 |
| „ნადიკვარი" თელავი | 10 | 3 | 3 | 4 | 10—14 | 9 |
| „საირმე" მაიაკოვსკი | 10 | 4 | 1 | 5 | 10—16 | 9 |
| „სალხინო" გეგეჭკორი | 9 | 3 | 2 | 4 | 22—15 | 8 |
| სახ. უნივერს. თბილისი | 8 | 3 | 2 | 3 | 5—6 | 8 |
| „დურუჯი" ყვარელი | 9 | 3 | 2 | 4 | 7—9 | 8 |
| სკა თბილისი | 10 | 2 | 4 | 4 | 10—13 | 8 |
| „ისანი" თბილისი | 9 | 2 | 2 | 5 | 7—9 | 6 |
| „კახეთი" ველისციხე | 10 | 1 | 2 | 7 | 8—24 | 4 |
| „დინამო" სოხუმი | 10 | 0 | 2 | 8 | 8—12 | 2 |



გაიმართა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

**„ცისკარი" (ცხაკაია) — „მეშახტე" (ტყვარჩელი) 1:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).**

სტუმრებმა სწრაფად, აქტიურად დაიწყეს თამაში და უკვე მე-7 წუთზე ენიკმა ანგარიში გახსნა. ამ გოლის გაქვითვას „ცისკარი" დიდხანს მოუნდა, ვინაიდან ტყვარჩელის დაცვა წარმატებით უმკლავდებოდა მათს იერიშებს. საპასუხო გოლის ავტორი იყო მანჯგალაძე.

**„განთიადი" (ბორჯომი) — „განთიადი" (ბათუმი) 1:0. მსაჯი რ. გუდაძე (თბილისი).**

თანაკლუბელთა მატჩში ინიციატივა ბათუმელებს ჰქონდათ, თუმცა მათი თავდამსხმელები ვერ ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს მეტოქის საჯარიმო მოედანზე. მასპინძლებმა თამაშში გარდატეხა შეიტანეს მეორე ტაიმში და მარკოზაშვილის მიერ გატანილი გოლის წყალობით მიაღწიეს გამარჯვებას.

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „გურია" (ლანჩხუთი) 2:1. მსაჯი ი. ბოჭორაძე (თბილისი).**

ლანჩხუთის ფეხბურთელებმა დასაწყისშივე რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს სტუდენტთა კართან, მაგრამ „გურიის" თავდამსხმელებმა ვერ შეძლეს გოლით დაემთავრებინათ თუნდაც ერთი შეტევა. სამაგიეროდ, თბილისელებმა თავიანთი მცირერიცხოვანი კონტრიერიშებიდან ორი დააგვირგვინეს გოლით. სრული უპირატესობა ჰქონდათ ლანჩხუთელებს მეორე ტაიმში, მაგრამ მათ მხოლოდ ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა შეძლეს.

**„ლოკომოტივი" (სამტრედია)— „შუქურა" (ქობულეთი) 1:0. მსაჯი დ. შკუროვი (თბილისი).**

რკინიგზელთა თავდამსხმელმა პერტენავამ მე-19 წუთზე გაიტანა ბურთი, რომელმაც „ლოკომოტივს" მეტად საჭირო გამარჯვება მოუტანა.

**სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) — „დილა" (გორი) 1:1. მსაჯი ო. უშვერიძე (თბილისი).**

ნაწვიმარი მინდორი საგრძნობლად უშლიდა ხელს ორივე გუნდს თამაშის ნორმალურად წარმართვაში. ანგარიში გახსნეს სტუმრებმა, რასაც ტაიმის დასასრულს მოჰყვა საპასუხო გოლი სტუდენტთა მხრივ. შემდგომ ბრძოლას შედეგი არ გამოუღია.

**„ენგურჰესი" (ზუგდიდი) — „მერცხალი" (მახარაძე) — 3:0. მსაჯი ნ. კონდახსაზოვი (თბილისი).**

ზუგდიდელი ფეხბურთელები განაგრძობენ გამარჯვებათა გზით სვლას. მართალია, მახარაძელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ლიდერს, მაგრამ „ენგურჰესმა" მაინც მიაღწია დამაჯერებელ გამარჯვებას.

**„მეტალურგი" (ზესტაფონი) — „მესხეთი" (ახალციხე) 0:3. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).**

ზესტაფონელმა ფეხბურთელებმა საკუთარ მინდორზე ვერაფერი „მოუხერხეს" მეტოქეს, რომელიც ამ დღეს განსაკუთრებული აღმავლობით თამაშობდა.

**„დინამო" (ქუთაისი) — „სინათლე" (თბილისი) 0:0. მსაჯი ლ. ვერულიძე (ბათუმი).**

ორივე გუნდმა ძალზე უხალისოდ, დუნედ ჩაატარა მატჩი. შედარებით გამოცოცხლდა თამაში შესვენების შემდეგ, მაგრამ სახიფათო, საინტერესო მომენტები არც მაშინ შექმნილა.

**„მეშახტე" (ტყიბული) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 1:0. მსაჯი პ. შახნაზაროვი (თბილისი).**

ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის გადაწყვეტილებით ეს მატჩი ჩატარდა ქ. მახარაძის სტადიონზე. ტყიბულელთა თავდამსხმელმა ცაგარეიშვილმა 37-ე წუთზე სწრაფად აუარა გვერდი მოწინააღმდეგის ორ მცველს და გაიტანა ერთადერთი გოლი, რომლის გაქვითვა „მაღაროელმა" ვერ შეძლო, თუმცა შესვენების შემდეგ მას დიდი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდა.

• • •

მოგვყავს II ქვეჯგუფში ჩატარებული მატჩების ტექნიკური შედეგები: „გახმარო" (ჩოხატაური) —„დინამო" (სოხუმი) 0:0, სკა (თბილისი) — „შახტმშენი" (მარნეული) 1:1, „სამეგრელო" (ზუგდიდი) — „მექანიზატორი" (ფოთი) 3:0, „მეტალურგი" (რუსთავი) — „ნადიკვარი" (თელავი) 3:1, „კახეთი" (ველისციხე) — „საირმე" (მაიაკოვსკი) 2:3.

# ნახევარფინალში ჩვენი მეტოქე

### ევროპის თასზე ფეხბურთში

15 ივნისს ესპანეთში ჩავა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. 17 ივნისს 0 საათსა და 15 წუთზე მოსკოვის დროით იგი შეხვდება დანიის ეროვნულ ნაკრებს. ესაა ნახევარფინალური მატჩი ევროპის თასზე. ორსაათნახევრით ადრე მადრიდში ითამაშებენ მეორე ნახევარფინალის მონაწილენი — ესპანეთი და უნგრეთი.

დანიის ფეხბურთთან ჩვენ საკმაოდ შორეული ნაცნობობა გვაქვს. პირველი ნაკრები გუნდების დონეზე შეხვედრები ამ ქვეყანასთან ჩვენ გვქონდა ჯერ კიდევ 1956 წელს. მაშინ საბჭოთა ფეხბურთელებმა მოწინააღმდეგე დაამარცხეს ორჯერ: მოსკოვში — 5:1 და კოპენჰაგენში — 5:2.

დღეს ძალზე საპასუხისმგებლო, დიდმნიშვნელოვანი მატჩია ნახევარფინალის ორივე მონაწილისთვის, მაგრამ საინტერესოა, რომ ორი ნაკრების მეტოქეობა მხოლოდ დღევანდელი დღით არ ამოიწურება. დამარცხებულ გუნდს რჩება რევანშის შანსი, ვინაიდან მსოფლიო პირველობის შესარჩევი ჯგუფების კენჭისყრამ სსრ კავშირი და დანია ერთ ჯგუფში დააწყვილა და მათი შემდგომი შეხვედრები არ წარმოადგენს შორეული მომავლის საქმეს.

პირველი მოწინააღმდეგე ევროპის თასის გათამაშებაში დანიას საკმაოდ იოლი ჰყავდა — მალტა. დანიელებმა როგორც საკუთარ, ისე მეტოქის მინდორზე დამაჯერებელი გამარჯვებები მოიპოვეს (6:1, 3:1) და გათამაშების შემდგომ ტურში შეხვდნენ ალბანეთის გუნდს. მართალია, სკანდინაველებმა ტირანაში წააგეს (0:1), მაგრამ მათ მანამდე აქტივში ჰქონდათ გამარჯვება დიდი ანგარიშით — 4:0 და მასთან ერთად — გარანტირებული ადგილიც მეოთხედფინალში.

თასის ეს ეტაპი დანიელთათვის განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა. პირველი ორი რეგლამენტირებული მატჩი ლუქსემბურგთან დამთავრდა ფრედ — 3:3 და 2:2. გადამწყვეტი შეხვედრა ამსტერდამში მოიგეს დანიელებმა — 1:0. აღსანიშნავია, რომ ყველა 6 ბურთი სამივე მატჩში გაიტანა გუნდის ცენტრალურმა თავდამსხმელმა ო. მადსენმა. ამ გამარჯვების შემდეგ დანიის ნაკრები ნახევარფინალის მონაწილე გახდა.

სსრ კავშირის გზა თასის მატჩებში ასეთია: იტალიასთან — 2:0, 1:1, შვეციასთან — 1:1, 3:1.

საბჭოთა და დანიელი ფეხბურთელები ფინალში ერთმანეთს ხვდებიან კენჭისყრის ძალით.

რა თქმა უნდა, ნახევარფინალის ოთხივე მონაწილედან დანია ყველაზე სუსტია. შარშანდელ სეზონში ჩატარებული საერთაშორისო მატჩების შედეგად დანია ევროპის საკლასიფიკაციო სიაში მხოლოდ მე-13 ადგილზე მოხვდა. ერთადერთი ძლიერი მეტოქე 1963 წელს დანიელებს ფაქტიურად ჰყავდათ მხოლოდ უნგრეთის ნაკრები და ამ მატჩში მათ სრული ფიასკო განიცადეს — 0:6.

მაგრამ ყველაფერი ეს არ ნიშნავს, რომ დანიის ნაკრებისთვის ევროპის თასის ნახევარფინალი არის თავისებური ჭერი, რომელსაც ისინი ვერ აცდებიან და უცილობლად დამარცხებულები დატოვებენ ბარსელონას. სრულიადაც არა! დანიას ჰყავს მაღალი კლასის ფეხბურთელები, რომელთაგან ზოგიერთი უცხოეთის პროფესიულ კლუბებში თამაშობს კონტრაქტის ძალით. გარდა ამისა, ესაა გუნდი, რომელსაც გარკვეულ მომენტებში, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ლაპარაკია თასზე, შეუძლია დიდი უსიამოვნება მიაყენოს აღიარებულ ფავორიტებსაც კი. სანიმუშოდ შეიძლება მოვიყვანოთ თუნდაც ის, რომ დანიელებმა რომის ოლიმპიური თამაშების ნახევარფინალში დაამარცხეს ისეთი მრისხანე მოწინააღმდეგე, როგორიცაა უნგრეთი და ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

როცა ვლაპარაკობთ დანიის საუკეთესო ფეხბურთელებზე, პირველ ყოვლისა მხედველობაში გვყავს ის სპორტსმენები, რომლებიც იტალიის კლუბებში თამაშობენ. ესაა ჰ. ნილსენი, რომელსაც ცენტრალური თავდამსხმელის პოსტი უკავია იტალიის ჩემპიონის — „ბოლონიას" შემადგენლობაში. ნილსენი საუკეთესო სნაიპერია ამ ქვეყნის პირველობის გათამაშებებში (მას გატანილი აქვს 21 ბურთი). საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში კარგადაა ცნობილი აგრეთვე იტალიის „ატალანტას" დაცვის საუკეთესო მოთამაშის ფ. ნილსენის სახელიც. ესაა გამოცდილი ნახევარმცველი, რომლის მხრებზეც გადადის „ატალანტას" მთელი ურთიერთმოქმედება უკანა ხაზებში. დიდი ხანი არაა, რაც დანიელთა საუკეთესო მეკარემ გ. სიორენსენმა კონტრაქტს მოაწერა ხელი შოტლანდიის ერთ-ერთ პროფესიულ გუნდთან და თავის ეროვნულ ნაკრებს ისიც ალბათ ისევე დროებით დაუბრუნდება, როგორც ამას მისი თანამემამულეები, „იტალიელი დანიელები" აკეთებენ.

ფეხბურთელისთვის კრიტიკულ ასაკსაა მიღწეული განთქმული ფორვარდი ო. მადსენი (იგი 30 წლისაა). მიუხედავად ამისა, ეს უაღრესად შედეგიანი თავდამსხმელი, ლუქსემბურგთან სამი მატჩის გმირი, ახლა საუცხოო ფორმაშია და მინდორს ისე არ ტოვებს, თუ ბურთი არ გაიტანა.

დანიის ფეხბურთის ფედერაციამ კარგა ხნის წინ მოლაპარაკება გამართა „ბოლონიასა" და „ატალანტას" ხელმძღვანელობასთან, რათა 17 ივნისს ევროპის თასის ნახევარფინალში მონაწილეობისთვის გამოუშვან ჰ. და ფ. ნილსენები. „ატალანტას" დირექტორატმა მოითხოვა, რომ მისი მოთამაშის წაყვანა დიდ ხანს არ გაჭიანურდეს, მაგრამ დანიელებს იგი ფაქტიურად დიდი ხნით არც ჭირდებათ.

ზემოჩამოთვლილ მოთამაშეთა გარდა ნაკრების შემადგენლობაში გამოირჩევიან მცველი ი. ჰანსენი და ნახევარმცველი ბ. ჰანსენი, რომლებიც სულ ახლახან მონაწილეობდნენ სკანდინავიისა და ევროპის ნაკრები გუნდების საიუბილეო მატჩში.

დანიის ნაკრების მწვრთნელმა პ. ანდერსენმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ამას წინათ განაცხადა, რომ მისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს თავდასხმის ცენტრში ორი ისეთი „სოლისტის" დაყენება, როგორებიც არიან ჰ. ნილსენი და ო. მადსენი. მას აფიქრებს, რომ შესანიშნავი მონაცემების მქონე ამ ორი ფორვარდის ერთად თამაშში შეიძლება არ გამოვიდეს შეწყობილი დუეტი. თუ საქმე არჩევანზე მიდგა, მას მაინც თავისი ნაცადი ო. მადსენი ურჩევნია ჰ. ნილსენს.

წინასწარ განაცხადში დანიელებმა შეიყვანეს ნ. ნილსენი, ი. ჰანსენი, ბ. ჰანსენი, კ. ჰანსენი, ბ. ლარსენი, ე. ნილსონი, კ. ბერტელსონი, ე. ტორსტი, ო. მადსენი, ო. სიორენსენი, დ. დანიელსენი, ს. რასკი, ლ. ჰარტვიგი და სხვანი. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს განაცხადი ვერ მოგვცემს ნათელ წარმოდგენას ნაკრების სავარაუდო შემადგენლობის გარკვევისათვის.

რამდენიმე სიტყვა დანიელთა თამაშის მანერაზე. ცნობილია, რომ ეს გუნდი ჩვეულებრივ მოქმედებს ნელ ტემპში. მოთამაშეები არ გამოირჩევიან ფიზიკური მომზადებით და ათლეტური თვისებებით, ტაქტიკა უმეტესად დაცვითი ტენდენციებით ხასიათდება და მწვრთნელი ხშირად მიმართავს დაცვის ცენტრში „მწმენდელის" გამოყენებას.

უცხოეთის პრესა ხაზს უსვამს დანიის ეროვნული ნაკრების მოთამაშეთა მაღალ ტექნიკას.

მომენტი მოსკოვის მატჩიდან სსრ კავშირისა და გდრ-ის ოლიმპიურ ნაკრებ გუნდებს შორის.

**სურათზე:** საბჭოთა ნაკრების თავდამსხმელს ო. კოპაევს თავური დარტყმით ბურთი გააქვს მეტოქის კარში.

ფოტო **ბ. სვეტლანოვისა.**



## ქაკელინა კოკრანის 82 რეკორდი

ამერიკელ მფრინავ ქალს ჟაკელინა კოკრანს ეკუთვნის 82 მსოფლიო მიღწევა. თავისი რეკორდები კოკრანმა დაამყარა დგუშიან და რეაქტიულ თვითმფრინავებზე. ზოგიერთი მისი შედეგი აღემატება მამაკაცთა რეკორდებს.

მარტო უკანასკნელ ხანს კოკრანმა დაამყარა 3 მსოფლიო რეკორდი რეაქტიული თვითმფრინავით — „ლოკჰიდი". 500-კილომეტრიან წრეზე მან განავითარა 1.826,6 კმ საათში. კიდევ უფრო მეტი სიჩქარე აჩვენა მან 100-კილომეტრიან წრეზე — 2.095,36 კმ საათში.

ჟაკელინა მალავს თავის წლოვანებას. ფიქრობენ, რომ იგი 60 წლისაა. კოკრანი რამდენიმე წლის განმავლობაში საავიაციო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი იყო. ამჟამად იგი ამ საზოგადოების საპატიო პრეზიდენტია. (საკდესი).

## ადა კოკი იწყებს ბრძოლას

„ბლეკპულის აუზის გმირის" სახელით მონათლეს ინგლისურმა გაზეთებმა 17 წლის ჰოლანდიელი მოცურავე გოგონა ადა კოკი. დიდი ბრიტანეთისა და ჰოლანდიის გუნდების ამასწინანდელი მატჩის დროს, რომელიც ბლეკპულის საწყლოსნო აუზში მიმდინარეობდა, ადა კოკმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი ბატერფლაის სტილით 110 იარდზე ცურვაში — 1.05,1. ამას გარდა, კოკმა ჩინებულად გაიარა თავისი დისტანცია ამანათცურვაში 4×110 იარდზე და გახდა მეორე მსოფლიო რეკორდის (4.41,4) მთავარი ავტორი.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ჟურნალისტები გარს შემოეხვივნენ კოკს, უნდოდათ გაეგოთ — როგორ აფასებდა სპორტსმენი ამ წარმატებას.

— მე ამას ვთვლი ტოკიოს მედლისთვის ბრძოლის დასაწყისად, — განაცხადა კოკმა.

კითხვაზე: „რამდენ მილ მანძილს ფარავს ერთი დღის წვრთნაზე", — კოკმა ხუმრობით უპასუხა:

— ზუსტად არ დამითვლია ყველა მილი. მგონია ეს მანძილი საკმარისი იქნებოდა ტოკიომდე მიმეღწია თვითმფრინავებისა და გემების დაუხმარებლად.

## ინსბრუკიდან — მედლების გარეშე

„შვეიცარიას ტოკიოს ოლიმპიადის მედლების მოპოვების ძალზე ცოტა იმედი უნდა ჰქონდეს", — წერს ამ ქვეყნის სპორტული გაზეთი „შპორტი". იგი აღნიშნავს შვეიცარიაში სპორტის განვითარების დაბალ დონეს და იგონებს ინსბრუკის ზამთრის თამაშების სამარცხვინო გაკვეთილს, როცა შვეიცარიის ოლიმპიური გუნდის ვერც ერთმა წევრმა ვერ მოიპოვა მედალი. კიდევ კარგი, რომ შვეიცარია ამ სირცხვილს გადაარჩინა მზარეულთა ბაზრობამ, რომელშიც ბაზელელმა, ციურიხელმა და ჟენეველმა მზარეულებმა დაისაკუთრეს... ბრინჯაოს მედლები.

„შვეიცარიის სპორტის მესვეურები სასწრაფოდ უნდა შეუდგნენ მზარეულთა ოლიმპიური გუნდის მომზადებას ტოკიოში გასამგზავრებლად", — ირონიით წერს ავსტრიული გაზეთი „ფოლკსშტიმე".

## წინასაოლიმპიადო სტარტები

**რიგა,** 12 ივნისი. (**ტელეფონით**). გუშინ აქ დაიწყო ლატვიის დედაქალაქის ტრადიციული თასის გათამაშება მძლეოსნობაში, რომელიც, ამავე დროს, წინასაოლიმპიადო შერჩევით სამატჩო შეხვედრად გვევლინება. ასპარეზობაში მონაწილეობენ პროფკავშირების, შეიარაღებული ძალების, „დინამოს", „ბურევესტნიკის" ნაკრები გუნდები, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის უძლიერესი მძლეოსნები.

აღნიშნულ სამატჩო შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჯერ მარტო იმიტომ, რომ იგი ფაქტიურად ოლიმპიელთა პირველი შერჩევითი ტურნირია. ტოკიომდე ჩვენს უძლიერეს მძლეოსნებს რთული გზა აქვთ დასაძლევი. რიგის მატჩის გარდა, ისინი მონაწილეობას მიიღებენ ძმები ზნამენსკების მემორიალში (მოსკოვი), „გიგანტთა მატჩში" (ლოს-ანჯელოსი) და სსრ კავშირის პირად პირველობაში (კიევი).

შეჯიბრების პირველ დღეს სენსაციური დამარცხება განიცადა ცნობილმა საბჭოთა სტაიერმა პ. ბოლოტნიკოვმა. 5.000-მეტრიან დისტანციაზე იგი დიდხანს ლიდერობდა რბენას, მაგრამ ფინიშთან მას ახალგაზრდა ესტონელმა მ. ვილდმა გადაუსწრო, რომელმაც მოიგო კიდეც პირველი ადგილი — 13.59,4.

მძლეოსნობის დანარჩენ სახეობებში გაიმარჯვეს: ბირთვი — თ. პრესმა — 18,18 მ, სიგრძეზე ხტომა — ი. ტერ-ოვანესიანმა — 7,85 მ, შუბი — ე. ოზოლინამ — 55,96 მ, 100 მ — ე. ოზოლინმა — 10,3, სიმაღლეზე ხტომა — 1. ვ. ბრუმელმა — 2,23 მ, 2. ა. ხმარსკიმ — 2,13 მ.

ვ. ბრუმელის შედეგი მიმდინარე წელს საუკეთესოა მსოფლიოში.

## ლიდერთა ქიდილი

**ამსტერდამის** საზონათშორისო ტურნირზე დაუცხრომელი ბრძოლაა ერთპიროვნული ლიდერობისთვის. ტურნირის „მიტელშპილში", როცა საბჭოთა დიდოსტატებმა „მხრები გაშალეს", „მეგზურის" კვერთხი ხელიდან ხელში გადადის ლარსენის, სპასკისა და ტალს შორის: XVII ტურის შემდეგ კვლავ წინ იყო ლარსენი.

XVII ტურში დანიელმა დიდოსტატმა მწვავე თამაშში დაამარცხა გერმანელი დარგა, რომელიც სერიოზულ პრეტენზიას აცხადებს სანუკვარ უცხოელთა სამეულში მოსახვედრად. ამ დღეს ლარსენმა მოიგო XVI ტურის კვინონესთან გადადებული პარტიაც.

გაიმარჯვა ტალმაც, რომელიც კანადელ ვრანეშიჩს ეთამაშებოდა.

სპორტული თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობდა სპასკი—რეშევსკის შეხვედრა. ეს პარტია, ისე როგორც ლენდიელ — სმისლოვისა, არ დამთავრებულა. გადადებულ პოზიციებში უპირატესობა საბჭოთა დიდოსტატების მხარესაა. თუ სპასკიმ შეძლო პარტიის მოგება, მაშინ ტურნირზე „ორმართველობა" იქნება.

დანარჩენ შეხვედრებში შტეინმა მოუგო ევანსს, ბერგერმა — ფოგელმანს, პახმანმა — ბილეკს. ყაიმზე შეთანხმდნენ გლიგორიჩი — ბენკო და ბრონშტეინი — ივკოვი.

ტურნირის ლიდერს — ლარსენს XVII ტურის შემდეგ 13,5 ქულა ჰქონდა, ტალს — 13, სპასკის — 12,5 და ერთი გადადებული პარტია, ბრონშტეინს — 12,5, სმისლოვს — 12 და ერთი გადადებული პარტია. საინტერესოა, რომ ლარსენს დასკვნით 5 ტურში საბჭოთა დიდოსტატებთან უწევს თამაში.

## „მილანი" — „ფლამენგო"

იტალიის საფეხბურთო წრეებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ტურნირი — „მილანის თასი". იგი უკვე კარგა ხანია ტრადიციულ შეჯიბრებად იქცა.

თასის შარშანდელ გათამაშებაში მხოლოდ სამი გუნდი („მილანი", „ინტერნაციონალე" და „სანტოსი") მონაწილეობდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ასპარეზობამ ფეხბურთის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. საპატიო ჯილდო „მილანმა" დაისაკუთრა.

წლევანდელ ტურნირში თამაშობენ „მილანი", „ინტერნაციონალე", „ბოლონია" (სამივენი — იტალიიდან) და „ფლამენგო" (ბრაზილია).

გუშინწინ მილანის სტადიონზე გაიმართა პირველი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ „მილანი" და „ფლამენგო". 90-წუთიანმა ბრძოლამ უძლიერესი ვერ გამოავლინა — 1:1.

რედაქტორი **მ. კაკაბაძე.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. **რედაქციის მისამართი:** თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09.





საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 01247